პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№65 (4059)

1970 წ. აპრილი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ყველაფერი ჩინებული იყო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინსკი, 30 მარტი. „მოსკოვს დიდი შანსი აქვს 1976 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის უფლების მოპოვებისა. ეჭვიერობ, რომ მაისში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ბევრი წევრი სწორედ საბჭოთა კავშირის დედაქალაქს დაუჭერს მხარს“, — თქვა დღეს გამართულ პრეს-კონფერენციაზე ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პ. ფერიმ (საფრანგეთი), რომელიც ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატს ესწრებოდა.

როცა ჟურნალისტების შეკითხვებზე იძლეოდა პასუხს, ფერიმ აღნიშნა ჩემპიონატის ბრწყინვალე ორგანიზაცია: „ყველაფერი ჩინებული იყო, — დარბაზი, მსაჯობა. საკმარისია ითქვას, რომ არბიტრებზე არც ერთი საჩივარი არ შემოსულა“.

პიერ ფერი ხელმძღვანელობს ფედერაციას, რომელიც სადღეისოდ თავის რიგებში 116 ქვეყნის მუშაკტერებს აერთიანებს (ამიტომ წარმობადგენლობის მხრივ მას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს საერთაშორისო სპორტულ გაერთიანებათა შორის). მან აღნიშნა, რომ ფარიკაობა თანდათან უფრო პოპულარული ხდება ბევრ ქვეყანაში. „ჩვენ უკვე გამოგვიგზავნეს განაცხადები აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებმა. გვთხოვენ, ფედერაციაში მივიღოთ“, — თქვა პრეზიდენტმა.

ფერიმ აღნიშნა, რომ თანდათან იზრდება ახალგაზრდა მოფარიკაველების ოსტატობის დონე. „განსაკუთრებით მომეწონა რაპირისტ გოგონათა ტურნირი, — თქვა ფერიმ. — ისინი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონების ღირსეული მემკვიდრეები არიან“.

ფერიმ აღნიშნა, რომ მინსკის ახალგაზრდულ ჩემპიონატში პირველად გამოვლინდა ოთხი საუკეთესო გუნდი პირადი შეჯიბრებების შედეგების მიხედვით. მაგრამ ახალგაზრდების გუნდური შეჯიბრებები ჩემპიონატში არც მომავალში ჩატარდება. საქმე ისაა, რომ 15-19 წლის ახალგაზრდებისთვის პირად შეჯიბრებებთან ერთად ეს ძალიან დიდი ფიზიკური დატვირთვა იქნებოდა.

ამ ჩემპიონატში მსაჯობისთვის პირველად იყო გამოყენებული ახალი საბჭოთა აპარატურა. როცა კორესპონდენტებმა ჰკითხეს, როგორ მოეწონა ეს სიახლე, ფერიმ თქვა, რომ აპარატურამ ბრწყინვალედ ჩაბარა გამოცდა.

პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა, რომ 1971 წლის ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდება.

(საკადესი).

ყინულის ნამდვილი რაინდები

მსოფლიოს 10-გზის ჩემპიონები
ევროპის 14-გზის ჩემპიონები

სტოკჰოლმი, 31 მარტი. საბჭოთა ჰოკეისტების გამარჯვება შვეიცარიის პრესის ყურადღების ცენტრშია. ყველა გაზეთი პირველ გვერდზე ათავსებს სსრ კავშირის ნაკრების წევრთა სურათებს.

„საბჭოთა ჰოკეისტების საერთაშ. მეათე და ზედიზედ მერვე გამარჯვება საეჭვოთ დამსახურებულია. მათი გუშინდელი მატჩი შვედებთან არსებითად მეორე პერიოდში დამთავრდა, როცა რუსებმა ჯერ ერთი, სოლო შემდეგ მეორე შაიბა გაიტანეს და დაწინაურდნენ“, — წერს გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“.

ამ გაზეთის სპორტული განყოფილება იხსნება ანშლაგით: „გილოცავთ ზედიზედ მერვე ოქროს“. სიტყვა „ილოცავთ“ აწყობილია შვედურ და რუსულ ენებზე.

„შვედებს ვერც მეკარე ჰოლმკვისტმა უშველა, თუმცა იგი შესანიშნავ ფორმაში იყო. მაგრამ მასპინძლებმა ღირსეულად წაგეს — ჩვენი მეტოქეები უფრო ჭკვიანურად თამაშობდნენ“, — წერს იგივე გაზეთი. ამავე გაზეთის მხატვარმა დახატა დიდი შაიბა, რომელსაც დედამიწის სფეროს სახე მისცა. შაიბის წვერზე ჰოკეისტი დგას. წარწერა გვაუწყებს: „საბჭოთა კავშირი ურყევად დგას მწვერვალზე“.

საინტერესოა ჩემპიონატის ზოგიერთი მონაცემი. მაგალითად, საბჭოთა ჰოკეისტების მიერ გატანილი 68 შაიბა ცალკეულ მოთამაშეებზე ასე ნაწილდება: მალცევმა გაიტანა 15 შაიბა (სხვათა შორის, ჩემპიონატების რეკორდი ეკუთვნოდა შესანიშნავ საბჭოთა ფეხბურთელსა და ჰოკეისტს ვ. ბობროვს, რომელმაც 1957 წელს 13 შაიბა გაიტანა), ვიკულოვმა — 9, ხარლამოვმა და მიხაილოვმა — 7-7, მიშაკოვმა და ფირსოვმა — 6-6, სტარშინოვმა და პეტროვმა — 5-5, იაკუშევმა და პოლუპანოვმა — 3-3, ნიკიტინმა და შადრინმა — თითო.

საბჭოთა გუნდის კარში გატანილი 11 შაიბიდან თითქმის ნახევარი შვედებზე მოდის. მსოფლიო ვიცე-ჩემპიონებმა — პალმკვისტმა, ა. კარლსონმა, ნილსონმა, ლუნდსტრემმა და ვიკბერგმა ჩვენს კარში 5 შაიბა მოათავსეს. დანარჩენი 6 შაიბა ასე ნაწილდება: ლეიმუ, კეინონენი (ორივე — ფინეთი), ციშე, სლაპკე (ორივე — გდრ), კოსტა, სრბატი (ორივე — ჩეხოსლოვაკია).

სსრ კავშირის ნაკრების წარმომადგენლებთან დაკავშირებით, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ გუნდის მწვრთნელები ა. ჩერნიშოვი და ა. ტარასოვი, ნაკრების მოთამაშეები: ვ. კონოვალენკო, ვ. ტრეტიაკი, ა. რაგულინი, ვ. ვასილიევი, ი. რომიშევსკი, ვ. ლუტჩენკო, ვ. დავიდოვი, ვ. ნიკიტინი, ე. პოლადიევი, ვ. პეტროვი, ვ. ხარლამოვი, ბ. მიხაილოვი, ა. ფირსოვი, ვ. პოლუპანოვი, ვ. ვიკულოვი, ე. მიშაკოვი, ა. მალცევი, ვ. სტარშინოვი, ა. იაკუშევი, ვ. შადრინი.

საპატიო სიგელებს მიიღებენ, აგრეთვე, გუნდის ექიმი ი. ბელაკოვსკი და მასაჟისტი გ. ავსეენკო. ასეთივე მაღალი ჯილდო ჩემპიონატების მატჩების მაღალ დონეზე მსაჯობისთვის დაიმსახურა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ი. კარანდინმა.



სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭათ ლუტჩენკოსა და იაკუშევს, ხოლო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება — ვასილიევს, ტრეტიაკსა და შადრინს.

გთავაზობთ გათამაშების საბოლოო ცხრილს.

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	10	9	0	1	68—11	18
შვეიცარია	10	7	1	2	45—21	15
ჩეხოსლ.	10	5	1	4	47—30	11
ფინეთი	10	5	0	5	31—40	10
გდრ	10	2	1	7	20—50	5
პოლონეთი	10	0	1	9	11—70	1

• • •

სურათზე: ა. ფირსოვმა და ვ. სტარშინოვმა (წინა პლანზე) გადაწყვიტეს თავისუფალ დროს სტოკჰოლმის ზოოპარკი დეთვალიერებინათ.

ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკადესი).

ᲥᲐᲚᲗᲘ ᲥᲐᲯᲕᲘᲥᲘ

● ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 31 მარტი. დამთავრდა მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. მასპინძლებმა უკანასკნელ დღესაც ბრწყინვალედ იასპარეზეს სსრ კავშირის ახალი რეკორდები დაამყარეს 25-მეტრიანი აუზებისთვის. მოსკოველმა ო. კუდაშოვამ 800 მეტრზე თავისუფალი სტილით 9.46,4 აჩვენა და ქალთა რეკორდი გაუუჯობესა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა, 14 წლის ნ. კაბანოვამ 200 მეტრზე ბატერფლაით გოგონათა საკავშირო რეკორდი დაამყარა — 2.31,0. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში რეკორდსმენი გახდა ლ. მილეხინა — 2.28,0. ბრასით 200 მეტრზე შეჯიბრება ხოიგო მოსკოველმა ა. ჟრებენიკოვამ — 2.44,1. ვაჟებში ქვეყნის რეკორდსმენები გახდნენ: ვ. კრავჩენკო — 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.12,0, ს. კონოვი — 200 მეტრზე ბატერფლაით — 2.08,5, ვ. ბური — 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით — 16.43,8. ა. სამსონოვი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჭაბუკთა საკავშირო რეკორდს დაეუფლა — 4.11,1.

● რიგა, 31 მარტი. აქ დამთავრდა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზის გათამაშება იუნიორი მოცურავეებისთვის. მათ რამდენიმე საკავშირო რეკორდი გააუმჯობესეს. მათი ავტორები არიან: ი. ტერეშინა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით — 2.15,2, ლ. რუსანოვა — 100 მეტრზე ბრასით — 1.15,8. ტ. ობიედკოვა — 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.31,9 (გოგონების რეკორდი). ელფიმოვმა, პოლიაკოვმა, კარპოვმა და რიბაკოვმა 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში ჭაბუკთა რეკორდი დაამყარეს — 4.07,9.

● ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 31 მარტი. ფინეთის პრეზიდენტის უ. კეკონენის პრიზზე გამართულ ტრადიციულ მძლეოსნურ შეჯიბრებაში ვ. გავრილოვამ (გრუშკინა) 178 სმ სიმაღლე გადალახა და ქალაქის უმაღლესი მიღწევა დაამყარა დარბაზებისთვის. ვაჟებში იმარჯვა ა. ბაკუმენკომ — 209. 100 მეტრზე თარჯრბენში ქვეყნის რეკორდსმენმა ტ. კონდრაშოვამ ამჯერად 14,0 აჩვენა. 110 მეტრზე თარჯრბენში ვეტერანმა ა. მიხაილოვმა ბ. პიშჩულინს (ორივე — 14,1) მკერდით აჯობა. თასი „ბურევესტნიკს“ დარჩა.

● ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡᲘ, 31 მარტი. „ჩრდილოეთის დღესასწაულში“ მონაწილე სამთომოთხილამურეთა ასპარეზობაში სპეციალური სლალომი მოიგო ნ. მერკულოვამ (მოსკოვი) — 1.34,7, კემეროვოელი ნ. ხოდირევა მას 0,2 წამით ჩამორჩა. ვაჟებში იმარჯვა სსრ კავშირის ჩემპიონმა ვ. მელნიკოვმა (მოსკოვი), II ადგილზეა ს. გრიშჩენკო (ლენინგრადი), ორჰიდში უყვლას აჯობა ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტმა ვ. ვინოგრადოვმა.

● ᲛᲔᲥᲔᲓᲣᲠᲘᲩᲔᲜᲡᲙᲘ, 31 მარტი. 120 სპორტსმენი მონაწილეობდა იუნიორ სამთომოთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრებაში. გოგონებში შესანიშნავად გამოვიდა 16 წლის ა. ასკაროვა (კემეროვო), რომელმაც მოიგო სწრაფდამვეზა და გიგანტური სლალომი. ვაჟებში სწრაფდამვეზა ვ. მოროზოვინის (ალტაი), ხოლო გიგანტური სლალომი მასპინძელი ა. პრასლოვის გამარჯვებით დამთავრდა.

20 მოგებით

სსრ კავშირის ახალმა ჩემპიონებმა — დედაქალაქის „დინამოს“ ფრენბურთელმა ქალებმა — მხოლოდ ერთი მატჩი წაგეს საკავშირო პირველობაში, რომელიც 31 მარტს დამთავრდა მოსკოვში. დინამოელები ფინიშთან 20 მოგებით მივიდნენ და უახლოეს მეტოქეს 6 ქულით გაუსწრეს. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა ჩემპიონატების ისტორიაში.

II ადგილის ბედი სსრ კავშირის ექს-ჩემპიონის — ცსკა-სა და დედაქალაქის „ლოკომოტივის“ ბოლო შეხვედრაში წყდებოდა. შეიქმნა სიტუაცია, სადაც არმიელებს მოგება ვერცხლის медლებს მისცემდა, „ლოკომოტივი“ გამარჯვებით III ადგილზე გადიოდა, ცსკა კი IV ადგილზე გადაინაცვლებდა და მაშინ ვერცხლი ლენინგრადის სტუდენტურ გუნდს დარჩებოდა. ასეც მოხდა: „ლოკომოტივმა“ ძალიან დაძაბული ბრძოლა მოიგო (3:1) და ბრინჯაო გაინაღდა (13 ქულა). ლენინგრადელებს ვერცხლის ჯილდო ხვდათ (14).

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: V. „ბურევესტნიკი“ (ოდესა), VI. „ნეფტიანიკი“ (ბაქო), VII. „ბურევესტნიკი“ (კიევი), VIII. „სპარტაკი“ (მინსკი).

ამ სეზონში „ა“ კლასის უმაღლეს ლიგაში პირველად გამოდიოდა ძხოლოდ 8 გუნდი. ასპარეზობა სამ წრედ მოეწყო.

„წლეულს საბჭოთა ფრენბურთელებს მსოფლიო ჩემპიონატში მოუწევთ მონაწილეობა. ამიტომ საკავშირო პირველობის დაძაბული მატჩები კარგი ვარჯიში იყო სსრ კავშირის ნაკრების წევრებისთვის“, — თქვა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ქვეყნის ჩემპიონთა მწვრთნელმა, ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. ახვლედიანმა.

პაპარა ჩოგნის ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ

მოსკოვი, 1 აპრილი. დღეს აქ დაიწყო ევროპის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში.

გუშინ ლუჟნიკის სპორტის სასახლეში ამ შეჯიბრებისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია ჩატარდა. ევროპელი ჩოგბურთის შესახებ ჟურნალისტებს ესაუბრა მაგიდის ჩოგბურთის ევროპის კავშირის პრეზიდენტი ი. შლაფი (გფრ). მან აღნიშნა, რომ მოსკოვში ყველა პირობა არსებობს ასპარეზობის საუცხოოდ ჩატარებისთვის.

ჩემპიონატი ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი იქნება სარბიელზე გამოსულნ 22 ქვეყნის სპორტსმენები.

შლაფმა აღნიშნა ზოგიერთი სიახლე ტურნირის ორგანიზაციაში, რაც სსრ კავშირის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის თაოსნობით მიიღეს. ამ რანგის შეჯიბრებათა ისტორიაში წინასწარი ეტაპი პირველად ეწყობა არა ოლიმპიური, არამედ წრიული სისტემით. ამ სიახლის წყალობით რამდენიმე შეხვედრის გამართვის საშუალება ეძლევათ იმ ქვეყნების წარმომადგენლებსაც კი, სადაც მაგიდის ჩოგბურთი ჯერ მხოლოდ იწყებს განვითარებას. ამას გარდა, ნახევარფინალურ შეხვედრებში წინასწარი ჯგუფებიდან გადის ორ-ორი და არა თითო გუნდი, როგორც ეს ადრე ხდებოდა.

წინასწარი ჯგუფები ვაკთა შეჯიბრებაში ასე განაწილდა: I. შვეიცია, პოლონეთი, საფრანგეთი, თურქეთი; II — სსრ კავშირი, ბელგია, ავსტრია, ბულგარეთი; III — იუგოსლავია, დანია, ჰოლანდია, საბერძნეთი; IV — უნგრეთი, გფრ, ლუქსემბურგი, შვეიცარია; V — ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, ფიხეთი, შოტლანდია.

ქალთა გუნდები კენჭისყრამ ასე დააჯგუფა: I — გფრ, შვეიცია, შვეიცარია; II — სსრ კავშირი, იუგოსლავია, საფრანგეთი, ბულგარეთი; III — ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ჰოლანდია, ლუქსემბურგი; IV — უნგრეთი, რუმინეთი, ავსტრია, საბერძნეთი; V — ინგლისი, გდრ, ბელგია, ფინეთი.

ყოველი ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გუნდით შეიქმნება ორი ნახევარფინალი 5-5 კოლექტივისთვის, სადაც შეჯიბრება წრიული სისტემით გაიმართება. პირველ ნახევარფინალში შეკრენ პირველ, მეოთხე და მეუთე ჯგუფებში გამარჯვებულნი, აგრეთვე, ის გუნდები, რომლებიც II ადგილებს დაიკავებენ მეორე და მესამე ჯგუფებში. მეორე ნახევარფინალში დანარჩენი 5 გუნდი შევა. ოქროს медლებს გაითამაშებენ ნახევარფინალურ ჯგუფებში გამარჯვებულნი, ბრინჯაოსს — ნახევარფინალებში II ადგილებზე გასულნი.

4 აპრილს საღამოს ჩატარდება ფინალური შეჯიბრება. დასვენების დღის შემდეგ კი, 6 აპრილს, სტარტს აიღებს პირადი ტურნირი, სადაც 100-მდე ვაჟი და 60-ზე მეტი ქალი გამოვა.

სპეციალისტები იმ აზრისა არიან, რომ ქალთა გუნდურ ტურნირში ჩემპიონთა ტიტულისთვის უმთავრესად იბრძოლებენ კონტინენტის 1968 წლის პირველობაში გამარჯვებულნი — გფრ-ის სპორტსმენები, აგრეთვე, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და ინგლისის წარმომადგენლები. ვაჟებში ერთმანეთს პირველობას შეეცილებიან ძირითადად ამჟამინდელი ჩემპიონები — შვეიცის ჩოგბურთელები, აგრეთვე, სსრ კავშირის, იუგოსლავიისა და უნგრეთის კოლექტივები.

20 კ

◆ მონტევიდეო, 1 აპრილი. ურუგვაის ფეხბურთელთა ნაკრებმა დედაქალაქის „სენტენარიოს“ სტადიონზე გამართულ ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 2:0 დაამარცხა პერუს ეროვნული გუნდი. პირველი ბურთი გაიტანა მანეიროვ, მეორე — კუბილამ. ურუგვაის ნაკრებმა, რომლისთვისაც ეს იყო პირველი საცდელი მატჩი მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის წინ, შეთანხმებული თამაშითა და კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადებით მოხიბლა 40 ათასი მაყურებელი.

◆ პრაღა, 1 აპრილი. მშვიდობის ველოსრბოლის ყოველ ეტაპზე გამარჯვებული და ორი პრიზიორი ამ შეჯიბრების ისტორიაში პირველად დაჯილდოვდებიან ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს медლებით. ამ პოპულარული ველოტურის მეორე სიახლეა ეტაპი საშუალედო ფინიშით. რიგით 23-ე ველოსრბოლა წლეულს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში 12 მაისს აიღებს სტარტს. მისი 15 ეტაპი ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და გდრ-ის ტერიტორიებზე გაივლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვიდმეტი დან... არც ერთი

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ორ დღეს ასპარეზობდა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 19 გუნდის 285 მძლეოსანი. სარბიელზე მხოლოდ 15-16 წლის მოსწავლეები გამოვიდნენ. მონაწილენი ორ ჯგუფად დაიყვნენ: პირველში გაერთიანდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და მახარაძის, მეორეში კი დანარჩენი კოლექტივები. მეორე ჯგუფის წევრებს დებულებით მხოლოდ 3-3 სპორტსმენის გამოყვანის უფლება ჰქონდათ.

პირველ ჯგუფში თბილისელებმა 163 ქულა დააგროვეს და გაიმარჯვეს. ქუთაისელებმა 88 ქულა მოაგროვეს, აფხაზეთის გუნდმა — 66. სუსტი იყო სამხრეთ ოსეთის კოლექტივი, რომელიც 9 ქულას და ბოლო ადგილს დასჯერდა.

მეორე ჯგუფში ქებას იმსახურებს ხაშურის რაიონის განათლების განყოფილება, რომელმაც 7 ჭაბუკი და 2 გოგონა გამოგზავნა. საბოლოოდ, ხაშურელებმა 56 ქულა მოაგროვეს და 24 ქულით გაუსწრეს II ადგილზე გასულ გარდაბნის რაიონის ნაკრებს (ამ უკანასკნელის ღირსებას 5 ჭაბუკი და 4 გოგონა იცავდა). III ადგილზე არიან თელაველები — 24 ქულა. აფხაზეთის, ჭარელისა და ბორჯომის რაიონებიდან სპორტსმენებმა ვერც ერთი ჩათვლა ვერ მიიღეს, თუმცა ჩასათვლელი ნორმატივი მხოლოდ მესამე თანრიგისა იყო. საინტერესოა, რისთვის ჩამოიყვანეს 17 სპორტსმენი?

წარმატებით ვერც გორელები დაიტრაბახებენ: 9 მძლეოსნიდან მარტო „რ“-თმა მიიღო ჩათვლა და მანაც კოლექტივს 1 ქულა ძლივს შესძინა. 5 ქულას დასჯერდა ახალციხის გუნდი, რუსთავის კოლექტივმა კი მხოლოდ 6 ქულა მიიღო. აშკარად ჩანს, რომ ადგილებზე სეზონისთვის მზადება მეტისმეტად გვიან დაუწყიათ.

მართალია, შეჯიბრების პირველ დღეს ძლიერი, ცივი ქარი ჰქროდა, მაგრამ გორის, რუსთავის, ბორჯომის, ზუგდიდის, ახალციხის გუნდების ხელმძღვანელები ყველაფერს ამინდს ნუ დაბრალებენ. პირად პირველობაში გამარჯვებულნიც ხომ იმავე ქარში ასპარეზობდნენ და ბევრმა II თანრიგის ნორმატივიც შეასრულა. მაგალითად, ხაშურელმა გოგონამ ნ. ლაბაძემ 42,50 მეტრზე ტყორცნა ბადრო და თითქმის 7 მ მოუგო ლ. მიგინეიშვილს (სამტრედია). აი, ონელი ნ. მეტრეველის ბადრო კი დაეცა... 19,78 მეტრზე. 200 მეტრზე ბენაში სამივე პრიზიორი II თანრიგს შეესწავდა. გამარჯვებულმა ტ. ბელოვამ (აფხაზეთი) 26,4 აჩვენა, ბოლო ადგილზე გასულმა ც. ბუჯაბიძემ (ფოთი) კი ამ მანძილის გარბენას მოანდომა... 35,3 წამი. იმავე ბელოვამ 100 მეტრზე რბენა II თანრიგის შედეგით (12,4) მოიგო. II თანრიგის შედეგი აჩვენეს თბილისელებმა მ. ალიაკრინსკაიამ (12,7) და თ. დრიაევამაც (12,9). ათმა სპორტსმენმა III თანრიგის ნორმატივი შეასრულა, ახალციხელ ლ. ბელოუსოვას კი ფინიშთან მისვლისთვის 15,6 წამი დასჭირდა.

სიგრძეზე ხტომაში 33 ჭაბუკი ასპარეზობდა. თბილისელებმა ვ. კაკაურიძემ (პირადი — 648 სმ) და ნ. კოჯაევმა (643) საპრიზო ადგილები II თანრიგის შედეგებით მოიპოვეს. 15 მონაწილემ III თანრიგი მოიპოვა. სამაგიეროდ, ახალციხელი ვ. აზნაუროვი, გორელი ვ. აბოვიანი, დუშელი ვ. ელისტრატოვი, თბილისელი გ. გურჩინი და აჭარის გუნდის წევრი ი. ხავთასი შეუფასებელნი დარჩნენ, რადგან ვერც ერთი ცდა სწორად ვერ შეასრულეს.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში ყველაზე კარგი შედეგები 100 მეტრზე მორბენლებს ჰქონდათ. თბილისელებმა გ. ბრეევაძემ (11,2), დ. მელაძემ (11,4), ჯ. ბრეგვაძემ (11,5) და გარდაბნელმა ე. ნაბუაშვილმა (11,5) II თანრიგის მაჩვენებლებით დაამთავრეს შეჯიბრება, 22 სპორტსმენმა კი III თანრიგის შედეგს მიაღწია.

ტ. ივანოვას (თბილისი) 400 მეტრზე რბენაში გამარჯვებისთვის 1.02,5 დასჭირდა. ჭაბუკთა შორის ბოლო ადგილზე გასულმა ი. მიქაძემ (სამტრედია) კი იმავე მანძილის გარბენას 1.14,9 მოანდომა (გაიმარჯვა მახარაძელმა ი. ვაშალომიძემ — 55,2).

შეჯიბრებამ ბევრი ნიჭიერი ათლეტი გამოავლინა, მაგრამ გამოჩნდა ისიც, რომ ზოგიერთი მწვრთნელი ჯგუფებში უპერსპექტივო ბავშვებს ავარჯიშებს.

როგორც ტურნირმა ცხადყო, აღმხრდელები იოლი სახეობების სწავლებას სჯერდებიან, უფრო რთულ და შრომატევად სახეობებს კი ყურადღებას არ აქცევენ. სამწუხაროდ, ეს საკვედური ბევრ მწვრთნელს ეხება. სპრინტში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, ბადროს ტყორცნაში მოსასპარეზეთა რიცხვი საკმაო იყო, შედარებით გრძელ მანძილებზე რბენაში, უროსა და შუბის ტყორცნაში, ჭოკით ხტომაში, სპორტულ სიარულში, ხუთჭიდში კი სტარტზე 5-7 სპორტსმენზე მეტი არ გამოსულა. 100 მეტრზე თარჯრბენში იბრძოდნენ მხოლოდ ორნი — ლ. არღუნი (აფხაზეთი — 16,5), და ლ. ბალახაშვილი (გორი — 19,4).

ო. ივდოშვილი.

ქვემოთ დავასახელებთ მხოლოდ გამარჯვებულებს.

გოგონები. 800 მეტრზე რბენა. ს. ქივაიკინა (თბილისი, პირადი) — 2.37,4; **სიგრძეზე ხტომა.** ალიაკრინსკაია — 5 მ; **სიმაღლეზე ხტომა.** ვ. მინაკოვა (თბილისი) — 150; **ბირთვის კვრა.** დ. გოგოლური (დუშეთი) — 10,40; **შუბის ტყორცნა.** ნ. სოსნოვიკოვა (აფხაზეთი) — 30.90; **ხუთჭიდი.** ო. ტურგენევა (აჭარა) — 2884 ქულა.

ვაჟები. რბენა: 200 მ. ვ. ლოვჩი (აფხაზეთი) — 23,9; **800 მ.** ნ. სიდოროვი (ქუთაისი) — 2.07.3; **1500 მ.** გ. გოგოლაური (გარდაბანი) — 4.42,4; **3000 მ.** ი. არჯევანიძე (თბილისი, პირადი) — 9.47.3; **110 მ თარჯრბენი.** ნ. აბუაშვილი (გარდაბანი) — 16,5; **სიმაღლეზე ხტომა.** ვ. პლიევი (თბილისი), ს. ზურნაჯიანი (თბილისი, პირადი) — ორივე — 170; **ჭოკით ხტომა.** ტ. ორდენიძე (ონი) — 350; **სამხტომი.** ვ. სოროკინი (თბილისი, პირადი) — 13.76; **უროს ტყორცნა.** ნ. გრიგორიადისი (თბილისი, პირადი) — 46,14; **ბადროს ტყორცნა.** გ. მჭედლიძე (ხაშური) — 40,50; **შუბის ტყორცნა.** ნ. არფიონოვი (თბილისი) — 52,50; **ბირთვის კვრა.** ნ. ყიასაშვილი (ხაშური) — 13,19; **რვაჭიდი.** ა. ბოგდანოვი (თბილისი) — 4129.

• • •



სურათზე: 400 მეტრზე რბენაში გოგონების შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ო. გელაშვილისა.

ქართველმა სტუდენტებმა გვასახელეს

ლვოვის სპორტის სასახლეში 8 დღეს გაგრძელდა მოფარიკავეთა საკავშირო უნივერსიადა. როგორც ვიუწყებოდით, დაშნით მებრძოლთა შეხვედრები ქართველ სტუდენტთა გამარჯვებით დამთავრდა, ხოლო ქალთა შეჯიბრებაში ჩვენმა გუნდმა III ადგილი დაიკავა.

ზემოწოდებული საინტერესო გამოდგა ხმლით მოფარიკავეთა ახპარეზობა. ფინალში განული 8 სპორტსმენიდან სამი თბილისელი (გ. ლორთქიფანიძე, მ. სახვაძე, დ. შარაშენიძე) იყო.

ფინალში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გ. ლორთქიფანიძემ, რომელმაც ზედიზედ დაამარცხა მეტოქეები და I ადგილიც დამსახურებულად მოიპოვა. II-III საპრიზო ადგილების ბედის გასარკვევად დამატებითი შეხვედრები გახდა საჭირო. ამ ადგილებისთვის ერთდროულად 4 სპორტსმენი იბრძოდა. აქ აშკარა იყო გამოცდილი მუშკეტერის მ. სახვაძის უპირატესობა და II ადგილიც მას დარჩა. III ადგილზეა გ. რენსკი.

გუნდური შეჯიბრების ფინალის გზაზე თბილისელებმა შედარებით იოლად დაამარცხეს უზბეკეთისა (9:0) და რსფსრ-ს (9:6) გუნდები. ფინალში ისინი მოსკოველთა პირისპირ წარსდგნენ.

თბილისელთა კაპიტანმა მ. სახვაძემ ჩვეული ოსტატობა გამოავლინა. იგი ბილიკზე თავისუფლად, მსუბუქად მოქმედებდა და გააზრებული ბრძოლით მოხიბლა მაყურებელი. ამ შეჯიბრებაში სახვაძემ სამი შეხვედრა მოიგო. გუნდის ლიდერს ტოლი არც დ. შარაშენიძემ დაუდო, რომელმაც სამი გამარჯვება მოიპოვა. ამის შემდეგ გ. ლორთქიფანიძისა და თ. უკლებას თითო მოგება საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩვენები ჩემპიონები გამხდარიყვნენ.

ცნობილია, რომ ქართველ რაპირისტთა ფარიკაობის კლასი საგრძნობლად ჩამორჩება, ამიტომ მათგან მაღალ შედეგებს არც ველოდით, მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, ეს ვარაუდი არ გამართლდა. თბილისელმა რაპირით მოფარიკავეებმა (ნ. ძიძიკაშვილი, რ. დეკანაძე, თ. ზაუტაშვილი, ტ. ნოზაძე და ვ. გოროდეცკი) დაამარცხეს ბელორუსიის ძლიერი კოლექტივი და IV ადგილზე გავიდნენ. რ. დეკანაძემ ოთხივე ორთაბრძოლა მოიგო.

საერთო გუნდური I ადგილი 106 ქულით დაიკავეს საქართველოს სტუდენტებმა. II ადგილზე გავიდნენ რსფსრ-ს წარმომადგენლები — 95 ქულა, III — ბელორუსიის მოფარიკავეები — 88 ქულა.

ტ. მესხი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ქუთაისის სპორტული ქრონიკა

•

ქალთა ტრადიციული...

რამდენიმე დღეს გაგრძელდა ქალთა III საქალაქო ტრადიციული სპარტაკიადა ათ სახეობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოებებისა და განათლების განყოფილების ნაკრები გუნდები.

საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა განათლების განყოფილების კოლექტივმა — 24 საჯარიმო ქულა. II ადგილზეა „განთიადი“ — 30. „ბურევესტნიკსა“ და „სპარტაკს“ 35-35 ქულა დაუგროვდათ, მაგრამ საპრიზო ადგილების უკეთესი ბალანსით III ადგილი წილად ხვდათ სტუდენტებს.

თასი — „შრომით რეზერვებს“

ჩატარდა სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი საქალაქო შეჯიბრება ვოლორბოლაში.

პირად პირველობაში იმარჯვა ო. ქათამაძემ. მეორე იყო ა. ახდოლაძე (ორივე — „შრომითი რეზერვები“).

გუნდური I ადგილი და თასი „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლებმა დისაკუთრეს. II ადგილზეა განათლების განყოფილების გუნდი, III — სპორტკლუბი „კოლხიდა“.

შ. ნიშარაძე.
(ჩვენი კორ.).

ორ ჯგუფად

მიმდინარეობს ზუგდიდის მოსწავლეთა III საქალაქო სპარტაკიადა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება. ტურნირში 8-წლიანი და საშუალო სკოლების, აგრეთვე, სკოლა-ინტერნატის გუნდები მონაწილეობენ.

სპარტაკიადა ორ ჯგუფად ტარდება. პირველში გამოდიან ის კოლექტივები, რომლებმაც წინა სპარტაკიადაში I-VII ადგილები დაიისაკუთრეს, მეორეში — დანარჩენი გუნდები.

უკვე დამთავრდა შეჯიბრებები სამ სახეობაში. მაგიდის ჩოგბურთში იმარჯვა მე-8 სკოლის ნაკრებმა. ჭადრაკში უძლიერესის სახელი მოიხვეჭა მე-6 სკოლის გუნდმა, ფრენბურთში კი მე-2 სკოლის ჭაბუკთა და გოგონათა კოლექტივებმა.

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება რუსთავის ქიმიური კომბინატის სპარტაკიადა. რომელიც ექვს სახეობაში მიმდინარეობს.

მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაში ყველას აჯობა ელექტროსაამქროს ნაკრებმა. ამ გუნდში თამაშობდა ქალაქის პირველმშენებლობის მონაწილე გ. ხვთისიაშვილი. მას მთელს ტურნირში არც ერთი შეხვედრა არ წაუგია.

სურათზე: გ. ხვთისიაშვილი ასპარეზობის დროს.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

წყალბურთელთა სტარტები

გუშინ ლენინგრადისა და ძერჟინსკის (გორკის ოლქი) დახურულ, 50-მეტრიან აუზებში სტარტი აიღო წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატმა — უმაღლესი ლიგის 10 გუნდი ორ წრედ გათამაშებულ ოქროს მედლებს.

ძერჟინსკის აუზში ბრძოლა დაიწყეს სსრ კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა — მოსკოვის „დინამომ“, თბილისისა და ალმა-ათის დიხამოელებმა, წინა პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა — მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა და „ა“ კლასის დებიუტანტმა — მოსკოვის ოლქის „ლოკომოტივმა“.

ლენინგრადში ერთმანეთს ხვდებიან შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდი, მოსკოვის „ტორპედო“, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაკო), კიევის „დინამო“ და ადგილობრივი „ლტიკა“.

24 აპრილს ათივე გუნდი [illegible] შეიკრიბება — ისინი [illegible] ბენ პირველ წრეს. მეორე [illegible] შემოდგომით გაიმართ[illegible]

სტატისტიკის ენით

დღეს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ერთმანეთს ხვდებიან თბილისისა და მინსკის დინამოელები.

ეს გუნდები პირველად ერთმანეთს შეხვდნენ თბილისში 1945 წელს. მაშინ თბილისელებმა დიდი ანგარიშით (5.0) გაიმარჯვეს და მას შემდეგ მინსკელებთან ზედიზედ 13 თამაში ჩაატარეს წაუგებლად. თბილისელები დამარცხდნენ მე-15 მატჩში, 1954 წელს — 2.3. სულ ქართველმა ფეხბურთელებმა მინსკელებს მოუგეს 19 შეხვედრა, 11 ფრედ დაამთავრეს და 7 წააგეს. გატანილია 71 ბურთი, მიღებულია 38.

თბილისში ჩატარებული 18 თამაშიდან თბილისელებმა 12 მოიგეს და 6 ფრედ დაამთავრეს. ამ გუნდებმა მინსკშიც 18 ჯერ ითამაშეს. აქ თბილისელებმა გაიმარჯვეს 6 ჯერ, ფრედ ითამაშეს 5 ჯერ და დამარცხდნენ 7 ჯერ. ერთი თამაში მეტოქეებმა ჩაატარეს ნეიტრალურ მინდორზე (მოსკოვი) — გაიმარჯვეს თბილისელებმა — 4:1.

დიდი ანგარიშით თბილისის დინამოელებმა მინსკის გუნდი დაამარცხეს 6-ჯერ, ხოლო მინსკელთა აქტივში ასეთი გამარჯვება მხოლოდ ერთია. ყველაზე დიდი ანგარიშით თბილისელებმა თავიანთ მინსკელ თანაკლუბელებს მოუგეს 1947 წელს შინ — 6:0.

მინსკელთა კარში თბილისელთა 28 მოთამაშემ გაიტანა 70 გოლი (ერთი ბურთი საკუთარ კარში მოათავსა რადუნსკიმ). ყველაზე მეტი ბურთი გატანეს ა. ღოღობერიძემ (8) და ვ. პანიუკოვმა (7). 5 ბურთი გატანილია პენალტებით.

38 გოლი თბილისელთა კარში გაიტანა 23 მინსკელმა ფეხბურთელმა და ერთიც... ხურცილავამ. მათგან ყველაზე შედეგიანი იყო მ. მუსტიგინი — 6 გოლი.

ზ. კაკაცია,
მ. მეზვრიშვილი.

• • •

მინსკელი ფეხბურთელები „ა" კლასში გამოდიან 1945 წლიდან. მას შემდეგ მათ 4-ჯერ მოუბდათ უმაღლესი ლიგის დატოვება.

დღევანდელ მეტოქეთა ურთიერთ შეხვედრებში ყველაზე პოპულარული ანგარიშია 1:0. ასე დამთავრდა 7 მატჩი.

თბილისის დინამოელებმა თავიანთი მე-1000 გატანილი გოლი იზეიმეს მინსკში და ამ გოლის ავტორი იყო... მასპინძელთა მცველი მ. რადუნსკი.

1945-1947 წლების ჩემპიონატებში მინსკელ ფეხბურთელთა გუნდში ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი იყო ჩვენი თანამემამულე ბ. ჩიტაია.

ბ. მადუაშვილი.



საქართველოს ჯიჯველოჯა

4 აპრილს

მოგვყავს საქართველოს პირველობის მატჩების კალენდარი II ჯგუფის გუნდებისთვის. თამაშები ეცდება 4 აპრილს.

I ზონა. „ვარძია" (ასპინძა) — „მევენახე" (ბოლნისი), „ბახტრიონი" (ახმეტა) — „გარისი" (თეთრი წყაროო), „მევენახე" (ვაზისუბანი) — „არაგვი" (მცხეთა), „სპარტაკი" (რუსთავი) — „არაგვი" (დუშეთი), „ქერეთი" (ლაგოდეხი) — „ბურუ" (ახალქალაქი), „მშენებელი" (წალკა) — „გარეჯი" (სამგორი) — „ბერეთი" (წითელი წყარო) — „შევარდენი" (თბილისი).

II ზონა. „ჭოროხი" (ბათუმი) — „განთიადი" (აბაშა), „სამეგრელო" (ზუგდიდი) — „დინამო" (ოჩამჩირე), „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) — „გასახლება" (ადიგენი), „ხარიხოკაი" (გულრიფში) — „სამგურალი" (წყალტუბო), „სარმე" (მაიაკოვსკი) — „დინამო" (ქუთაისი), „ჩიხურა" (საჩხერე) — „ივერია" (ხაშური), „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „კოლაეთი" (ხობი).

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 1 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	5	5	0	0	15—4	10
„სკური" (წალენჯიხა)	5	4	0	1	7—3	8
„ისანი" (თბილისი)	4	3	1	0	4—0	7
„სალხინო" (გეგეჭკორი)	5	2	3	0	4—1	7
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	5	2	2	1	9—5	6
„ფეიქარი" (წულუკიძე)	5	3	0	2	6—5	6
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	4	2	1	1	5—3	5
„მზიური" (გალი)	4	1	3	0	4—2	5
„ეგრისი" (ცხაკაია)	5	2	1	2	7—6	5
„გიგანტი" (ლაითური)	4	2	1	1	4—4	5
„სამცხე" (აწუური)	5	2	1	2	2—4	5
„ვარაყეთილი" (გარდაბანი)	5	1	2	2	3—4	4
ასკ (თბილისი)	4	1	1	2	1—2	3
„ცისკარი" (სიღნაღი)	4	0	3	1	1—2	3
„მაღაროელი" (ქიათურა)	4	0	3	1	2—3	3
„სინათლე" (თბილისი)	4	1	1	2	5—7	3
„ბაზმარო" (ჩოხატაური)	5	0	3	2	3—8	3
„ენგური" (ზუგდიდი)	4	0	2	2	2—3	2
„მშენებელი" (ბორჯომი)	3	1	0	2	1—4	2
„იმერეთი" (თერჯოლა)	4	0	2	2	3—6	2
„ქართლი" (გორის რაიონი)	4	1	0	3	3—7	2
„მესხეთი" (ახალციხე)	4	0	0	4	1—9	0

მინდორზე — მოზაარდები

გრძელდება „ა" და „ბ" კლასების ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური გათამაშება. მოგვყავს გასული ტურების შედეგები:

I ქვეჯგუფი. „დინამო" (ბათუმი) — „მერცხალი" (მახარაძე) 5:1, ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) — „დინამო" (თბილისი) 0.0, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „კოლხეთი" (ფოთი) 0:1, „განთიადი" (თბილისი) — „მეშახტე" (ტყიბული) 7:0, მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 0:0, „მეშახტე" — მწვრთნელთა სკოლა 0:3, „კოლხეთი" — „განთიადი" 1:0, „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 5:0, „მერცხალი" — ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) 1:2, „ალაზანი" (გურჯაანი) — „დინამო" (ბათუმი) 0:2.

II ქვეჯგუფი. „ტორპედო" (ქუთაისი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) 0:1, „დინამო" (სოხუმი) — „ინტერნატი" (თბილისი) 0:1, „შრომითი რეზერვები" (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 1:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „დილა" (გორი) 0:2, „მეტალურგი" (რუსთავი) — განათლ. განყ. (თბილისი) 0:0, „დილა" — „მეტალურგი" 1:2, „კახეთი" — „გურია" 3:0, „ინტერნატი" — „შრომითი რეზერვები" 2:1, „სულორი" (ვანი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0.2. სოხუმის დინამოელებს წაგება ჩაეთვალათ თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდთან.

დაინიშნა I ტურის გამოტოვებული თამაშები:

7 აპრილს. „დინამო" (თბილისი) — „მერცხალი".

9 აპრილს. „მეტალურგი" — „შრომითი რეზერვები", „დილა" — „ტორპედო" (ქუთაისი), „კახეთი" — „სულორი", „ინტერნატი" — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი), მწვრთნელთა სკოლა — „სპარტაკი" (ცხინვალი), „ლოკომოტივი" (თბილისი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა).

10 აპრილს. განათლ. განყ. (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი).

გათამაშების ცხრილები

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (ბათუმი)	4	3	1	0	11—2	7
ახალგ. საფეხბ. სკ. (გაგრა)	4	3	1	0	10—4	7
„განთიადი" (თბილისი)	4	3	0	1	11—1	6
„დინამო" (თბილისი)	4	2	2	0	8—1	6
„კოლხეთი" (ფოთი)	4	3	0	1	7—2	6
მწვრთ. სკოლა (თბილისი)	3	1	1	1	3—2	3
„ლოკომოტივი" (თბილისი)	3	1	1	1	2—2	3
„მერცხალი" (მახარაძე)	3	1	0	2	6—8	2
„მეშახტე" (ტყიბული)	5	1	0	4	3—19	2
„სპარტაკი" (ცხინვალი)	4	0	0	4	0—8	0
„ალაზანი" (გურჯაანი)	4	0	0	4	2—14	0

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ინტერნატი" (თბილისი)	4	4	0	0	8—3	8
ახალ. საფეხბ. სკ. (თბილისი)	3	3	0	0	6—0	6
განათ. განყ. (თბილისი)	3	2	1	0	7—0	5
„მეტალურგი" (რუსთავი)	3	2	1	0	4—2	5
„ტორპედო" (ქუთაისი)	4	2	0	2	10—2	4
„დილა" (გორი)	4	2	0	2	7—6	4
„დინამო" (სოხუმი)	4	1	1	2	3—3	3
„კახეთი" (თელავი)	4	1	1	2	3—9	3
„შრ. რეზერვები" (თბილისი)	4	1	0	3	3—6	2
„სულორი" (ვანი)	3	0	0	3	2—11	0
„გურია" (ლანჩხუთი)	4	0	0	4	1—12	0

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციაში

რა არის ფეხბურთი?

ეს კითხვა, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილოდ მოგეჩვენებათ. დღეს ხომ ყველა კარგად იცნობს ამ პოპულარულ თამაშს, თითქმის ყოველ მეორეს თავი ტყავის ბურთის ერთგვარ სპეციალისტადაც კი მიაჩნია. მაინც, რა არის ფეხბურთი — მისი აზრი, შინაარსი, თუ გნებავთ, დანიშნულება, როლი თანადროეულ საზოგადოების ცხოვრებაში?

ცოტა ვინმე თუ ჩაფიქრებულა ამაზე, როცა ტყავის მრგვალი ბურთი დანავარდობს სტადიონის მწვანე მინდორზე, გამხნევებული 100 ათასი კაცის შეძახილებითა და 20 ათასი მოსიყვარულე თვალის მზერით.

აი, სწორედ ამ მხრივ იყო საინტერესო საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა თათბირ-სემინარი, რომელიც ახლახან გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთის მიმომხილველებისა და რადიო-ტელეკომენტატორებისთვის.

— ფეხბურთის პოპულარობა ბოლო წლებში მართლაც განუზომლად გაიზარდა, — თქვა სემინარზე გაგახგებოდ ჩამოსულმა სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმისა და ყოველკვირეული „ფუტბოლ-ჰოკეის" რედკოლეგიის წევრმა მ. მერჟანოვმა. — მსოფლიოში ახლა, შეიძლება ითქვას, შექმნილია მთელი „საფეხბურთო იდუსტრია" თავისი ფფარველ-მაგნატებით. თამაშმა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ბურთის უბრალო „გაგორება-გამოგორება" იყო, ახლა სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიური, ეროვნული მნიშვნელობა მიიღო.

ცხადია, ჩვენს ქვეყანაში სულ სხვა ზნე-ჩვეულებები და შეხედულებები არსებობს სპორტის ყველა სახეობაზე, მათ შორის, ფეხბურთზეც. საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა ფეხბურთში. ყოველ ჩვენგანს ძალიან უყვარს სპორტის ეს პოპულარული სახეობა, მაგრამ ჩვენთვის უცხოა დასავლეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის სტადიონებზე გამეფებული არაჯანსაღი აეიოტაჟი, მატჩების ორგანიზატორებისა და მსაჯების მიკერძოება. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ფხიზლად უნდა ვიყოთ და სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ ცალკეულ, თუხდაც იშვიათ, მაგრამ მაინც უსიამოვნო ფაქტებს სტადიონებზე. ეს კი, პირველ ყოვლისა, სპორტული ჟურნალისტების, ფეხბურთის მიმომხილველების საქმეა.

საჭიროა, რომ ყველა ჟურნალისტი, რომელიც კი ფეხბურთზე წერს, ცდილობდეს აიმაღლოს კვალიფიკაცია, ჟურნალისტი უნდა წერდეს არა მარტო, ასე ვთქვათ, „გოლებსა და წუთებზე", არამედ გაბედულად გამოთქვამდეს თავის აზრს, ჰქონდეს საკუთარი ხელწერა. მას უნდა შეეძლოს ამომწურავი ანალიზის გაკეთება, უნდა გამოირჩეოდეს ობიექტურობით, თამაშის დეტალების კარგი ცოდნით.

რა დასამალია, რომ ზოგჯერ ჩვენი ჟურნალისტები წერენ ერთგვარი სიფრთხილით. არაგის ვაწყენინოთო. ზოგჯერ ისინი გამოდიან გულშემატკივრის (ცხადია, ამ სიტყვის ცუდი გაგებით) როლში, რაც ბადებს ტენდენციურობას, არაობიექტურობას, ხშირად ცილისწამებასაც კი. უმეტეს შემთხვევაში, მსაჯების მიმართ.

— ჟურნალისტი ახლოს უნდა იდგეს გუნდთან, ფეხბურთელებთან, — თქვა საქართველოს ტელევიზიის სპორტულმა კომენტატორმა კ. მახარაძემ. — ეს კონტაქტი დიდ დახმარებას გაგვიწევს როგორც პრესის, ისე რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს.

— ხდება ისიც, რომ ჟურნალისტს დავალებული აქვს ინტერვიუ ჩამოართვას, ვთქვათ, გუნდის მწვრთნელს. ამ ინტერვიუსთვის გაზეთის იმდღეანდელ ნომერში ადგილიცაა დატოვებული, მაგრამ მწვრთნელი რატომღაც უარს ამბობს საუბარზე. ასეთ შემთხვევაში იგი ჟურნალისტსაც აწბილებს და მკითხველსაც, — თქვა „ახალგაზრდა კომუნისტის" სპორტულმა მიმომხილველმა უ. ჭიჭინაძემ. — სამწუხაროდ, ასეთი მწვრთნელები თბილისის „დინამოშიც" შეგვხვედრია.

— ზომიერება ყველაფერში საჭიროა, — თქვა საქართველოს რადიოს სპორტულმა კომენტატორმა ნ. ჯაფარიძემ. — თორემ რა გამოდის? თუ გუნდმა მატჩი მოიგო, ხოტბას უძღვიხიან, თუ წააგო, მიწასთან გასწორებენ.

— კარგი იქნება, თუ გაზეთი „სოვეტსკი სპორტი" პერიოდულად მოაწყობს რესპუბლიკური პრესის მიმოხილვას, კერძოდ, გაარჩევს გაზეთებში ფეხბურთის ორგვლივ დაბეჭდილ მასალებს, — თქვა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ მ. კაკაბაძემ.

— ვფიქრობთ დროა, რომ ფეხბურთს ჰქონდეს საკუთარი, თუ შეიძლება ითქვას, ბიბლიო ისტორია, სოლიდური გამოცემა რამდენიმე ტომად, — თქვა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის ხოადგილემ ო. ნოზაძემ. — ასეთი წიგნები ბევრ ქვეყანაში არსებობს და დიდ დახმარებას უწევს დაინტერესებულ პირებს, პირველ ყოვლისა კი ჟურნალისტებს.

საინტერესო წინადადებები წამოაყენეს აგრეთვე, ჟურნალისტებმა ზ. ჯაფარიძემ („ლელო"), ვ. გაბელიამ („კომუნისტი"), ნ. ჯუღელმა (საქართველოს ტელევიზია).

ო. ოთარაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს მამულ რესპუბლიკებში

ლოვოზერო — სპორტული სოფელი

სოფელი ლოვოზერო კოლის ნახევარკუნძულის ცენტრშია გაშლილი. მას გარს ტუნდრა აკრავს. სოფელში საამები ცხოვრობენ. ეს ყველაზე მცირერიცხოვანი ხალხია საბჭოთა კავშირში—სულ 2000 კაცი თუ იქნება. აქ იმთავითვე მეირმეობასა და ნადირობას მისდევენ. საამების კოლმეურნეობა „ტუნდრა“ ყველაზე მდიდარია კოლის მიწაზე. მეურნეობას 33 ათასი ირემი ჰყავს მარტო შარშან აქ მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღეს. აქედან 483 ათასი წმინდა მოგება იყო. კოლმეურნის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი 230-250 მანეთს აღწევს.

დღეს ცხოვრების პირობებით ლოვოზერო დიდად არ განსხვავდება მსხვილი ქალაქებისგან. მეირმეებმა მიიღეს ბინები, სადაც გაზიც არის და თბილი წყალიც. თითქმის ყოველ ოჯახს ტელევიზორი აქვს. პატარა საამებისთვის ორი სკოლაა გახსნილი.

სურათებზე: ტურისტები საამების სოფლის ხშირი სტუმრები არიან. აი, ახლაც ბიჭები მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ტუნდრაში. ისინი კოლმეურნეობის ვეტერანს ვ. ტერენტიევს ესაუბრებიან; საცივგურაო სოფლის განაპირას.

ფოტო ს. მაისტერმანისა (საკდესი).



ნორჩი სპორტსმენებისთვის

იოშკარ-ოლაში თბოელექტროცენტრალის კომკავშირელებმა თავიანთი საწარმოს ტერიტორიაზე ააგეს ზამთრის საცურაო აუზი, რომელიც პირველია მარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

შაბათობებში აქტიურად მონაწილეობდა სხვა საწარმოების ახალგაზრდობაც. ახალ ბაზაზე მთავარი ყურადღება ბავშვების წვრთნას ეთმობა.

ვ. ალექსეევი.
(საკდესის კორ.).

იოშკარ-ოლა.

ჯანმრთელობის გაკვეთილები

დონბასში, მეშახტეთა ქალაქ კადიევკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა დაწყებით კლასში ჯანმრთელობის გაკვეთილები შემოიღეს. ამ საქმის თაოსანია საცურაო აუზ „დელფინის“ დირექტორი ა. ტიტოვი. იგი ყველა სკოლაში იყო, ელაპარაკა მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მათს მშობლებს. ახლა ბავშვები გაკვეთილების დამთავრების შემდეგ პირდაპირ აუზს აკითხავენ, სადაც გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ, სწავლობენ ცურვას.

ჯანმრთელობის გაკვეთილებს უკვე რეგულარულად ესწრება 600-ზე მეტი მოსწავლე.

ვ. მეჟენსკი.
(საკდესის კორ.).

ვოროშილოვგრადი.

სპასკი სწირავს მხედარსა და ეტლს

ბელგრადი, 1 აპრილი. სსრ კავშირისა და „მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა“ გუნდების მეორე ტურიც ძალიან დაძაბულად წარიმართა. გუნდების შემადგენლობა იგივე დარჩა, შეიცვალა მხოლოდ მეტოქეთა ფიგურების ფერი: მას, ვინც I ტურში თეთრებით თამაშობდა, II ტურში შავები ხვდა და პირიქით.

თავიდანვე საერთო ყურადღება მიიქცია ლარსენ—სპასკის პარტიამ. დანიელი დიდოსტატი ორიგინალობდა და მალე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სადა და მიზანდასახული სვლებით სპასკიმ მძლავრი იერიშის საშუალება მიიღო. მხედრისა და ეტლის მარჯვე შეწირვით (კუს შეწირვა ლარსენმა უკუაგდო) სპასკიმ საშამათო ჭსელში გაბა მეტოქის მეფე. უკვე მე-18 სვლაზე ლარსენი დანებდა.

აი, როგორ მოხდა ეს:

ლარსენი — სპასკი

1. b3 (ამ სვლით უპირატესობის მიღება არ მოხერხდება) 1. ... e5 2. kb2 mc6 3. c4 mf6 4. mf3 (სჯობდა 4. g3) 4. ... e4 5. md4 kc5 6. m:c6 (სელს უწყობს შავი ფიგურების განვითარებას) 6. ... dc 7. e3 kf5 8. ke2 le7 9. lc2 0—0—0 10. f4 (ეს კიდევ უფრო ასუსტებს თეთრი მეფის პოზიციას) 10. ... mg4 11. g3 h5 12. h3

სპასკი ეფექტურად იყენებს ლარსენის მეფის უმწეო მდგომარეობას. იგი თავს არ ზოგავს, ოღონდ თეთრ გვირგვინოსანს მისწვდეს.

12. ... h4! 13. hg hg 14. eg1 (აგებდა ეტლის გაცვლაც) 14. ... eh1! (შესანიშნავია) 15. e:h1 g2 16. ef1 lh4+ 17. mpd1 gf1l+ 18. k:f1 და ლარსენი დანებდა, ვინაიდან 18. ... k:g4+ 19. ke2 lh1×.

ამ პარტიამ ქვეყანა აალაპარაკა. გაზეთ „პოლიტიკას“ რედაქციის სპეციალი საერთაშორისო ოსტატმა ნ. კარაკლაიჩმა განაცხადა: ჩვენი პრეზიდიუმიზ პარტიისთვის სპასკის მიენიჭაო.

მალე დამთავრდა ბოტვინიკ — მატულოვიჩის შეხვედრაც. გარკვეული უპირატესობა ვერც ერთმა მხარემ ვერ მიიღო. როცა ბრძოლა ოთხი ეტლის ენდშპილში გადავიდა, 26-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

პოლუგაევსკი მცირე ტერიტორიულ უპირატესობას ინარჩუნებდა ჰორტთან, მაგრამ გამარჯვება მაინც ვერ მოიპოვა და ყაიმს შეურიგდა. დაზავდნენ გლიგორიჩი და გელერიც.

მძიმე ცაიტნოტში აღმოჩნდნენ ბორტიში და კორჩნოი. როცა საბჭოთა დიდოსტატს 16 სვლისთვის ერთი წუთი დარჩა, ორივემ ყაიმზე შეთანხმება არჩია.

კვლავ კარგად ითამაშა ტაიმანოვმა, რომელმაც დამაჯერებლად დაამარცხა ულმანი.

ოთხი პარტია გადაიდო. რთული ბრძოლა გაჩაღდა პეტროსიან — ფიშერის შეხვედრაში. ერთ-ერთ მომენტში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი პაიკს გამოეთხოვა და მეორე წაგების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. პარტია გადაიდო. 41-ე სვლა ჩაიწერა პეტროსიანმა.

მოგების იმედი აქვს სმისლოვს რეშევსკისთან; მისი ზედმეტი პაიკი ყაკმაო ძალაა. ზედმეტი პაიკი ტალსაც აქვს (ნაიდორფთან), მაგრამ მისი პოზიცია ძალიან მწვავეა. კერესს ფიგურა აქვს ორ პაიკში. ივკოვმა ყაიმისთვის უნდა იბრძოლოს, თუ ეს შესაძლებელია შეწყვეტილ პოზიციაში.

ამრიგად, II ტურში საბჭოთა დიდოსტატები დაწინაურდნენ — 4:2 (4 პარტია გადადებულია). ჯერჯერობით მატჩის საერთო ანგარიშია 9,5:6,5 სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

„საუკუნის მატჩის“ ცხრილი

მდგომარეობა 2 ტურის შემდეგ

სსრ კავშირი	I	II		II	I	მსოფლიოს ნაკრები
ბ. სპასკი	0,5	1		0	0,5	ბ. ლარსენი
ტ. პეტროსიანი	0	*		*	1	რ. ფიშერი
ვ. კორჩნოი	0,5	0,5		0,5	0,5	ლ. პორტიში
ლ. პოლუგაევსკი	0	0,5		0,5	1	ვ. ჰორტი
ე. გელერი	1	0,5		0,5	0	ს. გლიგორიჩი
ვ. სმისლოვი	0,5	*		*	0,5	ს. რეშევსკი
მ. ტაიმანოვი	1	1		0	0	ვ. ულმანი
მ. ბოტვინიკი	1	0,5		0,5	0	მ. მატულოვიჩი
მ. ტალი	0,5	*		*	0,5	ვ. ნაიდორფი
ა. კერესი	0,5	*		*	0,5	ბ. ივკოვი



ჭადრაკი

ნორჩი ჩემპიონები



თბილისში, რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, დამთავრდა საქართველოს პირველობა ჭადრაკში მოსწავლეთა შორის.

ჭაბუკთა ტურნირში, რომელშიც 50 მოსწავლე მონაწილეობდა, შვეიცარიული სისტემით 9 ტური გათამაშდა. ამ მოკლე დისტანციაზე, ისიც ყოველ ტურში უძლიერეს მეტოქეებთან, ძალიან ძნელია თამაში, მაგრამ გამარჯვებულებმა მონდომება არ დაიშურეს.

საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მეათეკლასელმა კ. ჩიგოგიძემ (თბილისის პიონერთა სასახლე, მწვრთნელი შ. ინწკირველი) — 7 ქულა. ამდენივე ქულა დააგროვა გ. ცქიტიშვილმა (თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლა, მწვრთნელი ზ. მესხოპოვი), მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით მას უფრო დაბალი შედეგი აღმოაჩნდა.

III-IV ადგილები გაიყვეს თ. ბერიძემ (ბათუმი, მწვრთნელი ი. ენდერი) და რ. დადიანმა (სოხუმი, მწვრთნელი ს. არონიშიძე) — 6,5-6,5, V-XI — ნ. ლომაიამ (ცხაკაია, მწვრთნელი მ. ქურდოვანიძე), დ. მაღალაშვილმა (გორი, მწვრთნელი შ. თოთლაძე), მ. მეტრეველმა (ქუთაისი, მწვრთნელი დ. ჩირაძე), რ. შარაშენიძემ, თ. გრძელიშვილმა, ზ. რუხაძემ, გ. ზაიჩიკმა (ყველა — თბილისის პიონერთა სასახლე, მწვრთნელი შ. ინწკირველი) — 6-5.

— არ შემიძლია ქებით არ მოვიხსენიო ცხაკაიელი ლომაია, რომელსაც მხოლოდ ბოლო ორ ტურში წაფორხილებამ დააკარგვინა ჩემპიონობა, — ამბობს პირველობის მთავარი მსაჯი, ოსტატი მ. შიშოვი. — მანამდე იგი ლიდერი იყო, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, ნერვებმა უღალატა. საიმედო მომავალი აქვთ 10 წლის ბიჭუნებს — ზურაბ აზმაიფარაშვილსა და იგორ ეფრემოვს. პირველმა 4,5 ქულა დააგროვა, მეორემ — 3,5.

გოგონათა შორის პირველობა არავის დაუთმო თბილისის მე-14 საშუალო სკოლის მეექვსეკლასელმა მ. წერეთელმა (თბილისის პიონერთა სასახლე, მწვრთნელი შ. ინწკირველი) — 9,5 ქულა 11-დან.

ჩემპიონს მხოლოდ ქულით ჩამორჩა ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის საშუალო სკოლის მეათეკლასელი ე. ბაშინურიძე. III ადგილი ხვდა რ. ყიფიანს — 8 ქულა, IV — ე. ლომიძეს (ორივე — ქუთაისი, მწვრთნელი დ. ჩირაძე) — 7,5.

— გოგონათა ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა და ამიტომ შესაძლებლობა გვქონდა უფრო ახლოს გავცნობოდით მათს შემოქმედებას, — გვითხრა პირველობის მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ლ. წეროძემ. — წერეთელს, ბაშინურიძეს, ყიფიანსა და ლომიძეს საუცხოო მომავალი აქვთ. მათგან მხოლოდ ბაშინურიძეს არა ჰყავს მწვრთნელი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გაბაზრებულად, მარჯვედ თამაშობს. ამ ნიჭიერ გოგონას მეტი ყურადღება სჭირდება. რა თქმა უნდა, ტურნირი უფრო საინტერესო იქნებოდა, უძლიერეს ნორჩ მოჭადრაკეებს — თამარ კაჭარავას, მარეს დათაშვილსა და ნატო ბალაშვილს რომ ეთამაშათ. მაგრამ ეს გოგონები თბილისის ქალთა პირველობაში მონაწილეობდნენ, ხოლო თამარი და მარეხი საქართველოს პირველობის ფინალშიც გავიდხენ.

ამ შეჯიბრებაში ბევრმა მოსწავლემ დაიმტკიცა, ზოგიერთმა კი აიმაღლა თანრიგი. მაგალითად, პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულეს კ. ჯოჯუამ (სოხუმი, მწვრთნელი ს. არონიშიძე) და მ. წერეთელმა, მეორე თანრიგისა — ნ. ტალასაძემ (თბილისი, განათლების განყოფილების საჭადრაკო სკოლა, მწვრთნელი ო. ალხანიშვილი).

ტურნირები უაღრესად საინტერესო იყო როგორც თვით ნორჩი მოჭადრაკეებისთვის, ისე მათი აღმზრდელებისთვის. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორივე შეჯიბრებამ იმედი გაამართლა.

თ. ნინოშვილი.

* * *

სურათებზე: მ. წერეთელი და კ. ჩიგოგიძე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე